# სარბიელი

სპორტული გაზეთი  გამოიცემა 1990 წლის 28 დეკემბრიდან  სამშაბათი, 20 სექტემბერი 1994 № 49 (124)  ფასი 200 მანეთი ან შესაბამისად კუპონებში

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ახალკაცმა არავის დაუთმო თავისი დამტვრეული სკამი

შაბათს, 17 სექტემბერს ეროვნული სტადიონის სხდომათა დარბაზში ჩატარდა საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის III ყრილობა, რომელმაც სამსაათნახევარი გასტანა და წარუშლელი შთაბეჭდილებებით ალავსო დამსწრე საზოგადოება.

## ჯერ სიწყნარეა...

პრეზიდიუმში ამჯერად მხოლოდ სამი სკამი იდგა, თუმცა დატვირთვა მხოლოდ ერთმა მიიღო — ფედერაციის გენერალურმა მდივანმა დავით კვინიკაძემ გახსნა ყრილობა და წარმოთქვა მცირე შესავალი სიტყვა, რომლის არსი ასეთი გახლდათ: ქვეყანაში არსებული ნგრევისა და მისთანების მიუხედავად, სფფ-მ ყველაფერს გაუძლო და დღემდე ღირსეულად მოვიდა. ბატონ დავითს არც ის დავიწყებია, დამსწრეთათვის 1991 წლის მარტში ფედერაციაზე ზვიადისტური უზენესი საბჭოს თავდასხმა შეეხსენებინა — აქაოდა, პროვინციულ ფაშისტთა შეცდომები არ გაიმეორონო და სიამოვნებით აღნიშნა: იმ ყრილობამ არათუ დამალა ფედერაცია, არამედ სწორედ მაშინ ჩამოვიცილეთ ჩვენს რიგებში შემთხვევით მოხვედრილი ადამიანებიო. აქვე გაცხადდა, რომ 207 დელეგატიდან ყრილობას ესწრებოდა 167, რაც მუშაობის უფლებას იძლეოდა. ის იყო, თავმჯდომარე დღის წესრიგის ჩამოთვლას ლამობდა, რომ...

## სად არის ბარქაია?

...დარბაზში თბილისის „დინამოს" ტექნიკური დირექტორი ვაჟა ჟვანია წამოიმართა და დელეგატთა სრული სია მოითხოვა. ბევრისთვის გასაოცრად, მრავალნაცადი გენერალური მდივანი ხშკარად დაიბნა, ხმას აუწია და ჟვანიასთან კამათს მიჰყო ხელი. როგორც გაირკვა, ჟვანია ეჭვქვეშ აყენებდა ამ ყრილობის უფლებამოსილებას, დელეგატის მანდატები არაკანონიერად განაწილდაო. აქ ბატონ ვაჟას ამჟამად „სამტრედიის" მთავარი მწვრთნელი მურთაზ ხურცილავა გამოექომაგა, მაგრამ თავმჯდომარის დაფუცხუნებამ („რა არის აქ არაკანონიერი?!") და დამსწრე პირმოთნეთა უკმაყოფილო გუგუნმა იგი ადგილზე დააბრუნა. ამასობაში კი ჟვანია უკვე ტრიბუნაზე იდგა და უეფას ერთ-ერთი ნორმატიული აქტის წაკითხვა დაიწყო — თურმე ფედერაციას არაფრით არ ეკუთვნის საზღვარგარეთ ფეხბურთელის გაყიდვისგან მიღებულ თანხის 10 პროცენტი, რასაც „ადგილი ჰქონია", კერძოდ, გია გურულის გადასვლისას. აქ დარბაზში მსხდომმა არაოპოზიციონერებმა უმალ რუსული დაივიწყეს და ვინაიდან ნორმატიული აქტი რუსულად იყო, ჟვანიას მისი წაკითხვა აუკრძალეს. მთელი ამ პერიოდის განმავლობაში კვინიკაძე მიკროფონის დაბრუნებას ითხოვდა და საქმეში მეპულტეც კი ჩარია, მაგრამ ამ უკანასკნელს იქ ხმას ვინ ამოაღებინებდა და მიკროფონიც ჟვანიას დარჩა. მან დახმარებისთვის ყრილობაზე სტუმრად მოწვეულ პარლამენტის სპორტის კომისიის თავმჯდომარეს ბეჟან ხურციძეს მიმართა — გამაგებინეთ, როდემდე გაგრძელდება ეს უკანონობაო. ხურციძეს კვინიკაძემ დაასწრო და თქვა: თუ რაიმე უბედურება ჩავიდინეთ, ესე იგი, ამის უფლება გვქონდაო (?!). ამაზე კვლავ აღშფოთდა ხურცილავა და დაიყვირა: ვინც აქ ზის, ნახევარი ფეხბურთის მტერიაო. თავმჯდომარემ გაიხსენა, რომ ყრილობა, რადაც უნდა დასჯდომოდა, ბოლომდე უნდა მიეყვანა და უკან რიგებში ვილაცას გასძახა — პოლიციის სამმართველოდან მოვიდნენ ამხანაგებიო. აქ ისევ კვინიკაძე — ჟვანიას გადაძახილმა მიიპყრო დამსწრეთა ყურადღება: „ამხანაგო ვაჟა!" „მე არა ვარ თქვენი ამხანაგი!" „მაშინ, მეგობარო ვაჟა!" და მისთანები. ეს გაგრძელდა მანამ, სანამ სპორტის დეპარტამენტის თავმჯდომარე კახი ასათიანი არ ჩაერთო და განაცხადა: მე მომმართა „დინამოს" დირექტორატმა, გამერკვია დელეგირების საკითხი. დარღვევები ნამდვილად არის — ფედერაციას ხომ აქ 26 კაცი წარმოადგენს, დაქირავებულთა დელეგატობა კი არ შეიძლებაო. მან დასძინა, რომ გულ... ყრილობაზე ვეტერანთა კავ... ...იას არყოფნა, ვის ...აც მხოლოდ სამი მანდატი გაუგზავნაო. ბატონმა კახმა ისიც თქვა, რომ ბარქაიას სატელეფონო საუბარში უთქვამს — იქ რა მინდა, მთელი ქართული ფეხბურთი უკვე პრივატიზებულიაო. ამის შემდეგ სიტყვა ,ისევ კვინიკაძემ წარმოსთქვა: ალმასკომის ანგარიში დარიგდა და მოხსენება აღარ იქნებაო. ეს იმით დაასაბუთა — ფიფასა და უეფაშიც ასეაო. ის კი დაავიწყდა, რომ ამ ორ ორგანიზაციას საქმე საათივით აქვს აწყობილი. მოკლედ, ამ განცხადებამ ოპოზიციის მორიგი უკმაყოფილება გამოიწვია, აქ კი მრავალტანჯულმა მიკროფონმაც ვერ გაძლო და მის შეკეთებამდე მცირე შესვენება გამოცხადდა.

დამსწრეთა მხოლოდ ნაწილმა გადაწყვიტა შესვენების დანიშნულებისამებრ გამოყენება, დარბაზში კი ისევ კონფლიქტი წარმოიშვა. ერთმა დელეგატმა მოლდოვასთან ამაწინანდელი მარცხი დინამოელებს დააბრალა — განგებ წააგესო. რასაკვირველია, ატყდა კაი-უშველებელი და, მართალია, მუშტი-კრივამდე საქმე არ მისულა, შესვენების დამთავრებისთანავე „დინამოს" წარმომადგენლებმა ამ ცილისწამებაზე ნაკრების ხელმძღვანელთა პასუხი მოითხოვეს. ჩივაძემ დააპირა გამოსვლა, მაგრამ ჯერ მისთვის არ ეცალათ. მიკროფონის გაკეთება არ მოხერხდაო — თქვა კვინიკაძემ. აქვე ტრიბუნაზე ავიდა მანუჩარ მაჩაიძე: მეც ვთვლი, რომ მანდატები არაკანონიერად განაწილდა და ყრილობა გადავდოთო. თან ამის მთავარ არგუმენტად ბარქაიას არყოფნა დაასახელა. მაჩაიძე ტრიბუნაზე ბეჟან ხურციძემ შეცვალა. მან სამართლიანად მიიჩნია ოპოზიციონერთა გამოსვლა და თან დააყოლა — კვინიკაძეს ორ-სამჯერ შევხვდი და ამ კაცის ხალხისადმი დამოკიდებულება არ მომწონსო. ბოლოს ბატონმა ბეჟანმა კახი ასათიანს მიმართა: გავალებთ შექმნათ კომისია, რომელიც გაარკვევს დელეგირების საკითხს, ყრილობა კი ორი კვირის ვადაში დაინიშნოსო. მავანის რეპლიკაზე — თქვენ ვინ ხართო, ხურციძემ მიუგო — უმაღლესი ხელისუფლების წარმომადგენელიო, რაზედაც იმ დღეს პირველად რეაგირება მოახდინა ნოდარ ახალკაცმა — მე ვიცი, შენ ვინც ხარო. თუმცა ამ თემის განვრცობაზე ფედერაციის პრეზიდენტმა თავი შეიკავა.

აქ მკითხველს დიდ ბოდიშს მოვუხდით და ერთ საჩითირო საკითხს შევეხებით.

სწორედ შაბათს, ორ საათზე იყო დანიშნული გასულ კვირას გარდაცვლილი ავთანდილ ჭკუასელის გამოსვენება და ყველას ეგონა, კვინიკაძემ კი დასაწყისშივე თქვა, რომ დელეგატები უკანასკნელ გზაზე გააცილებდნენ სახელგანთქმულ ფეხბურთელს. მაგრამ... ყრილობა შაბათსვე უნდა დამთავრებულიყო — ასეთი იყო ფედერაციის მიზანი, ამიტომაც ორი საათისთვის კაცური ვალის მოსახდელად კახი ასათიანს მხოლოდ ოცამდე იქ მყოფი გაჰყვა.

ის იყო, თავმჯდომარემ და უმრავლესობამ შვებით ამოისუნთქეს — ავიწყვეთ ცხოვრებაო, რომ აღმოჩნდა: ოპოზიციას თავისი წარმომადგენელი დარბაზში კვლავ დაეტოვებინა. თან ვინ! ვაჟა ჟვანია! მან არც აცია, არც აცხელა და პრეზიდიუმში კვინიკაძეს გვერდით მიუჯდა. ამაზე სულ გადაირია გენერალური მდივანი და იყვირა: ხომ ვთქვი, პოლიცია მოიყვანეთ-მეთქი. ჟვანიამ მიუგო, გამეცით პასუხი, რატომ აიღეთ გურულის ტრანსფერიდან 10 პროცენტი, როცა ეგ ფული კლუბს ეკუთვნოდაო. თავმჯდომარის რეპლიკაზე — თქვენ ცრუობთ, ჟვანიამ ამ სიტყვების დოკუმენტურად გაფორმება ისურვა, რაც ფედერაციის გენსეკმა უმალ შეუსრულა. ჟვანიაც ცოტა ხანი კიდევ იჯდა, მერე მოსწყინდა, მისივე სიტყვებით რომ ვთქვათ, კომკავშირული კრება და დარბაზი დატოვა.

## შენ დაუკარ...

დანარჩენი ტექნიკის საქმე იყო. ათიოდ წუთში დელეგატებმა ფედერაციის ოთხწლიანი მუშაობა დამაკმაყოფილებლად შეაფასეს და წესდებაში სამი ახალი პუნქტი შეიტანეს. იქვე პრეზიდენტის არჩევნების დროც მოვიდა. ფედერაციის პრეს-ცენტრის ხელმძღვანელმა ჯემალ ჭიპაშვილმა კანდიდატად ახალკაცი დაასახელა. ალტერნატიული წინადადება არ ყოფილა და არჩევნების წინ საპროგრამო სიტყვით პრეზიდენტი გამოვიდა. მან თქვა, რომ ელოდა ასეთ გალაშქრებას მის წინააღმდეგ და ყველა მოწინააღმდეგე გააფრთხილა (დაუსწრებლად): სფფ-ს საქმეში ჩარევა არავის შეუძლია ფიფასა და უეფას წესებითო. მან ისიც აღნიშნა, რომ სფფ ერთ-ერთი მოწინავეთაგანია ყველა წამოწყებაში (სსრკ-ს ჩემპიონატიდან გამოსვლა, მეკარესთვის ბურთის უკან მიწოდების აკრძალვა და სხვა). გამოსვლის ბოლოს ბატონმა ნოდარმა დასძინა: ვთვლი, რომ პირველი ყრილობის მიერ დასმული ამოცანა შევასრულე და ახლა ნება თქვენია, ისე კი, იცოდეთ, რომ სავარძელს არ ვებლაუჭები და ნებისმიერს დავუთმობ იმ ჩემ ნახევრად დამტვრეულ სკამსო.

## არც ამან გასჭრა

ამ დროს დარბაზში ჟვანია დაბრუნდა და „დინამოს" დირექტორატისა და მთავარი მწვრთნელის სახელით ყრილობას აუწყა, რომ ქვეყნის ხუთგზის ჩემპიონი წყვეტდა სფფ-ს ეგიდით ჩატარებულ ნებისმიერ ტურნირში გამოსვლას. დარბაზში მყოფ საზოგადოებაზე არც ამან გასჭრა. ის კი არა, ჟვანია სიცილით გაისტუმრეს — რას ლაპარაკობ, ხომ დავიღუპეთო. იქვე არჩევნებიც ჩატარდა და 129 მხარდამჭერის წყალობით ახალკაცმა კიდევ 4 წლით დაიბევა ფედერაციის პრეზიდენტობა.

რაც შეეხება ჩივაძეს, მან შეასრულა დანაპირები და სიტყვით გამოვიდა „დინამო" — ნაკრების თაობაზე ატეხილი ჭორების გამო. მან თქვა, რომ ეს სისულელეა და ჟურნალისტებს გთხოვა, ეს ამბავი საერთოდ არ გაგეტანა დარბაზიდან. ასეც ვაპირებდით, მაგრამ ტელევიზიამ ერთობ იყოჩალა, ყველას დაასწრო და ქვეყანას ამცნო საქმის ვითარება, ასე რომ, ჩვენ შეპირებას აზრი აღარ აქვს, თუმცა ბატონ ალექსანდრესთან მაინც ბოდიშს ვიხდით.

## დასკვნა

ოპოზიცია, ისევე როგორც წინა ყრილობაზე, ამჯერადაც მოუმზადებელი შეხვდა მას. მან ვერ გამოიყენა დრო, პრესასა და ტელევიზიაში გამოთქმული ბრალდებები სათანადო დოკუმენტებით ვერ განამტკიცა და აქედან გამომდინარე, ვერ მოიგო საფეხბურთო სამყაროში დასაქმებული ხალხის გული. ამას ისიც დაემატა, რომ მას არ ჰყავდა საკუთარი ლიდერი (ანუ ახალკაცის ალტერნატივა) და არ ჰქონდა საკუთარი პროგრამა. თანაც ახალკაცი უფრო კარგად იცნობს დელეგატებს და იცის, რითი „შეაბას" ისინი, ამავდროულად, მშვენივრად იცნობს ფიფასა და უეფას საკანონმდებლო აქტებს და იცის, რომ ისეთი მეთოდებით, როგორიც ამ ყრილობაზე ოპოზიციამ გამოიყენა, სფფ-ს ძვრას ვერავინ უზამს.

## თავად გვაცალეთ მუშაობა!

ნოდარ ახალკაცი 1998 წლამდე იქნება საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტი. მილოცვასთან ერთად დღეს მას ერთი თხოვნაც, უფრო სწორად, კონტრთხოვნაც გვინდა შევკადროთ — თავად გვაცალეთ მუშაობა! ბევრმა ალბათ უკვე იცის, ვინც არ იცის, იმათთვის ვიტყვით, რომ პარასკევის „საქართველოს რესპუბლიკასა" და შაბათის „ქართულ ფეხბურთში" დაბეჭდილია ახალკაცის ნაუბარი სათაურით „გვაცალეთ მუშაობა!", სადაც იგი ჟურნალისტებს, და როგორც მისივე სიტყვებიდან ჩანს, „სარბიელსაც" ბრალს სდებს იმაში, რომ... დიდი წვლილი შეგვიტანია მოლდოველთა გამარჯვებაში. შეპასუხება ჩვენი სტილი არაა, მაგრამ ამჯერად, იმის გამო, რომ კიდევ ოთხი წელი არავინ გვეძახოს — მუშაობა გვაცალეთო — ვეცდებით „თავი გავიმართლოთ".

ზემოთ ახალკაცის ყრილობაზე ნათქვამ სიტყვას გაეცნობოდით. საკვირველია, მაგრამ კაცი, რომელიც, მისივე თქმით, მსოფლიო ფეხბურთში მომხდარი ყველა სიახლე-გარდაქმნის ავანგარდშია და ლამობს ყველაფერი წინასწარ განჭვრიტოს, პრესასთან ურთიერთობაში მე-19 საუკუნეს არ გამოსცილებია. მართალია, ჩვენს ჟურნალისტურ ამქარშიც არიან მეტ-ნაკლები ცოდნა-უნარის მქონენი (დაასახელეთ სფერო, სადაც ისინი არ არიან), მაგრამ მათი მიზეზით ყველას ერთნაირად მოხსენიება არ ივარგებს. არადა, სწორედ ჩვენს კორესპონდენტებზეა გადაკრული ამ ნაუბარში და ისინი „სპეციალისტებად" (სწორედ ასე, ბრჭყალებში) არიან მოხსენიებულნი.

არ ვიცი, რა ეგონა ფედერაციის პრეზიდენტს მოლდოვასთან წაგების შემდეგ: ზოგიერთებივით, ვიტყოდით, საგანგაშო არაფერიაო, თუ ამას ვეცდებით — ქართველებმა მოლდოველებს თავზე ძელები გადაამტვრიესო. თუმცა მივყვეთ თანმიმდევრობით.

„...არსებობს რამდენიმე მნიშვნელოვანი მომენტი, რომლებმაც ნიადაგი მოამზადა ასეთი მოულოდნელი დამარცხებისთვის. კერძოდ, დიდი ხანია ჩვენს პრესაში, როგორც სპეციალისტები, ასევე ჟურნალისტები მოლდოვას გამუდმებით მოიხსენიებენ, როგორც წინასწარ განწირულ აუტსაიდერს, ეს კი ფსიქოლოგიურად უარყოფითად მოქმედებს, როგორც... ფეხბურთელებზე, ასევე მის ქომაგებზეც" — წერს ნოდარ ახალკაცი. ჯერ ერთი, ნაკრების ფეხბურთელების ფსიქოლოგიური მომზადება ნაკრებისვე ხელმძღვანელობის ვალია, ქომაგებს კი რამდენიც უნდა ვუჩიჩინოთ — მოლდოვაც იგივე ძალისაა, რაც ბულგარეთიო — არავინ დაგიჯერებს. მეორე და მთავარი კი ისაა, რომ... თუმცა ჩვენი გაზეთის წლევანდელი, კენჭისყრის შემდგომი ნომრებიდან ციტატებიც საკმარისია, რათა ეს ბრალდება ავიცილოთ.

„ნურავის ჰგონია, რომ გერმანიასთან მაინცდამაინც უნდა წავაგოთ, ალბანეთსა და მოლდოვას კი უეჭველად უნდა მოვუგოთ". (ინტერვიუ გივი ნოდიასთან, 25 იანვარი).

„ალბანეთი და მოლდოვაც არ არიან ხელწამოსაკრავები: შესარჩევ ჯგუფში სუსტი გუნდი არ არსებობს". (ინტერვიუ მურთაზ ხურცილავასთან, 25 იანვარი).

„მოლდოვას ნაკრები ქულების დარიგებას არ აპირებს. ბოლო თვეების განმავლობაში ნაკრებმა რამდენიმე საერთაშორისო მატჩი გამართა და საკმაო გამოცდილებაც დააგროვა". (ინტერვიუ ალექსანდრე სპირიდონთან, 8 თებერვალი).

„ამ თამაშით მოლდოვასთან და ალბანეთთან წავაგებთ შინ". (25 ივნისი).

„დარწმუნებული ვარ მოლდოვა და განსაკუთრებით ალბანეთი ბევრ სიურპრიზს შემოგვთავაზებენ". (ინტერვიუ უელსის ნაკრების მწვრთნელ მაიკ სმიტთან, 22 ივნისი).

და ბოლოს: „მოლდოვას ნაკრები თბილისში ქულების დასარიგებლად არ ჩამოდის და ძალზე სერიოზულად ემზადება მატჩისთვის". (23 აგვისტო).

ასე რომ, ამ სტრიქონების გადაკითხვის მერე ჩვენი „დანაშაული" შეიძლება ის უფრო იყოს, ნაკრების ფეხბურთელებს კინაღამ რომ მოლდოველთა კომპლექსი გაუჩინეთ. ხოლო თუ ვინ თვლიდა მოლდოვას აუტსაიდერად, ფედერაციის ნაადრევად დამზადებულ მოხსენებაშია დაფიქსირებული. თუმცა კვლავ „გვაცალეთ მუშაობას" დავუბრუნდეთ. იქ ბატონი ნოდარი ბრძანებს, რომ „ზოგიერთი პუბლიკაციის ავტორი უაზრო წინადადებებით ცდილობს განხეთქილება ჩამოაგდოს ნაკრებისა და თბილისის „დინამოს" ხელმძღვანელებს შორის. საქმე იქამდეც კი მივიდა, რომ გვთავაზობენ კლუბის მთავარი მწვრთნელის ნაკრები გუნდის მთავარი მწვრთნელის კონსულტანტად მიწვევას". ასეთი წინადადება მართლა იყო „სარბიელის" ერთ-ერთ წერილში, თუმცა რა არის ცუდი ამაში, რომ ნოდია კონსულტაციებით მაინც დაეხმაროს ისევ და ისევ თავისივე ფეხბურთელებისგან შემდგარ ნაკრებს: ფაქტიურად ხომ ერთსა და იმავე გუნდს ამჟამად ხან ერთი (კლუბის) და ხან მეორე (ნაკრების) მწვრთნელი ავარჯიშებს. თუმცა პასუხს იქვე მივიღებთ: თურმე ფედერაციის პრეზიდენტმა არ იცის, რას ნიშნავს კონსულტანტი.

შემდეგ პრეზიდენტი აბათილებს ჩვენს შენიშვნას იმის თაობაზე, რომ ნაკრების ხელმძღვანელობას თამაშამდე საქმეში არ უნახავს მოლდოველი ფეხბურთელები და ამბობს, რომ ჩივაძე თან ახლდა „დინამოს" მოსკოვში გამართულ სნგ-ს ჩემპიონთა თასზე. ჩივაძე მართლაც იყო მოსკოვში, მაგრამ მხოლოდ ნახევარფინალურ მატჩზე, ამ დროს კი მეტოქის საბაზო გუნდი „ზიმბრული" ტურნირიდან უკვე გავარდნილი იყო. ისე, ესეც ფედერაციის ხელმძღვანელის ბრალია, ვინაიდან ჩივაძეს ვერავინ მოსთხოვს პირადი სახსრებით იმოგზაუროს მეტოქეთა შესასწავლად.

კიდევ ერთი ციტატა ნაუბრიდან: „გულშემატკივრებს მინდა ვაცნობო, რომ გვაქვს მდიდარი ბიბლიოთეკა, მრავალფეროვანი ვიდეოთეკა და პრეს-ცენტრი. ასე რომ, ნუ ჰგონიათ, თითქოს მოლდოველთა შესახებ ინფორმაცია არ გვქონდეს". ეს კი ნამდვილად აღმაშფოთებელი განცხადებაა. თავად განსაჯეთ: 21 ივნისის „სარბიელში" კითხვაზე — მოლდოვის ნაკრებზე რაიმე ინფორმაციას თუ ფლობთ — ჩივაძე პასუხობს: „სამწუხაროდ, არავითარს. ამაში თქვენი, ჟურნალისტების იმედიც გვაქვს, თეორიული ხასიათის ინფორმაცია მაინც უნდა მოგვაწოდოთ მეტოქეზე". დავუშვათ, 21 ივნისის მერე შეიქმნა ის მდიდარი ბიბლიოთეკა და მრავალფეროვანი ვიდეოთეკა, მაგრამ ფაქტია, რომ 2 სექტემბერს კიშინიოვში, სადაც მოლდოვა გენერალურ რეპეტიციას ატარებდა აზერბაიჯანის ნაკრებთან, ქართველთაგან არავინ იყო, ამ თამაშში მოლდოველთა შემადგენლობა და მატჩის პერიპეტიების აღწერა კი ნაკრების მთავარ მწვრთნელს... სწორედ ჩვენი გაზეთის თანამშრომლებმა მიაწოდეს 6 სექტემბერს. ამით თავს როდი ვიქებთ, მაგრამ „როცა აქეთ გვაწვებიან..."?

ისე, ნაუბარში რომ ყველაფერი სიმართლე არ გახლავთ, ყველაზე კარგად ახალკაცის ამ ფრაზიდან ჩანს: „ყველას გასაგონად ვაცხადებ, რომ საქართველოს ნაკრებისა და თბილისის დინამოელთა მეხვეურები მჭიდროდ თანამშრომლობენ ერთმანეთთან და მათ შორის ნორმალური ურთიერთობაა დამყარებული". სამწუხაროდ, შაბათის ყრილობის მოვლენებმა სულ სხვა რამ დაგვანახვა.

მოკლედ, კიდევ ერთხელ გავიმეორებთ ჩვენს თხოვნას — თავად გვაცალეთ მუშაობა! ჩვენთან ქართული ფეხბურთის საზიანო რამ ჯერ გულში არვის გაუვლია, ფეხბურთის სიყვარულში კი ნებისმიერს, თვით პრეზიდენტსაც გავეჯიბრებით. კრიტიკა კი სჯობს არგუმენტირებული, კორექტული იყოს და ცივილიზებულად მივიღოთ. ამ საქმეში ფედერაციის პრეზიდენტმა თუნდაც იმავე ჩივაძისგან რომ აიღოს მაგალითი, ჩვენთვისაც და მათთვისაც ნამდვილად კარგი იქნება. დასავლეთს მარტო 3 ქულიანი დარიცხვითა და შემოდგომა-გაზაფხულის სისტემით როდი უნდა მივბაძოთ.

**ზურაბ მეშველია**

## მსოფლიოს რეკორდი — მსოფლიოს ჩემპიონობის იმედი



როგორც იქნა, ქარ... ძლეულს პირველი მსო... რდი გველირსა: სა... ნთა მსოფლიო ... ოლ... იურმა ჩემპიონ... ომა (91 კგ.) ატაცში ... სძლია. ეს შედ... სახევ... ით სჯობს ძველ მსოფ... კახის მსოფლიო რეკორდი ... რად დამაიმედებელია: იქნებ მან ევროპის ჩემპიონატზე მისთვის შეუფერებელი მეორე ადგილის შემდეგ. ნოემბერში, სტამბ... მპიონატზე ამ რ... პირველი ოქრო... საქართველოს.

# ყრილობა ფარსი იყო!



დინამოელთა მთავარ მწვრთნელს გივი ნოდიას თვითმფრინავში, ბათუმ-თბილისის გეზზე ვესაუბრე. „ბათუმთან" შეხვედრით დავიწყე, ყრილობასაც გადავწვდი და არც „ინსბრუკთან" მატჩი დამვიწყებია...

**— ქინქლაძის ლიბეროდ თამაში ავსტრიელებთან მომავალ მატჩთან ხომ არ არის დაკავშირებული?**

— არა, შემთხვევის ამბავია. თამაშის წინ გიორგი შეუძლოდ იყო, თანაც ნახა, რომ ბათუმში უმცველებოდ მივდიოდით და თავ[illegible] შემომთავაზა ეს აზრი. მატჩი, ალბათ [illegible]ახსოვთ, სულ სხვანაირად დავიწყეთ, მაგრამ როდესაც დასაწყისშივე ზედიზედ ორჯერ ნიკა ჩხეიძემ გვიხსნა აშკარა გოლებისგან, გიორგის ვუხმე და უკან დავხიე, ხუჯაძე და დიდავა კი მეტოქის ორ თავდამსხმელს მივამაგრე. როგორ ითამაშა ქინქლაძემ, თავადაც ნახეთ. მისმა თამაშმა „რეალ" — „ინტერის" ოცდაათიწლისწინანდელი მატჩი გამახსენა, როდესაც დისტეფანო უკანა მცველად გამოვიდა და ჩინებულად შეეწყო დაცვას. ამით კიდევ ერთხელ გამოჩნდა ქინქლაძის მოქმედების დიაპაზონი, ნიჭი, შესაძლებლობა და საშემსრულებლო ოსტატობა.

**— „შევარდენთან" მატჩი საავსტრიო რეპეტიცია იქნება?**

— მოდით, ასე ვთქვათ — საკონტროლო მატჩი. ბუნებრივია „შევარდენთან" მატჩს საავსტრიო შემადგენლობა ითამაშებს. მთავარია, ტრავმებმა არ შეგვიშალოს ხელი.

**— როგორც იქნა, გოლებით გაგვახარა შოთა არველაძემ...**

— პირადად ჩემთვის შოთას მიერ გოლების გატანა-არგატანას დიდი მნიშვნელობა არა აქვს. შოთა ყველა მატჩს მაღალ დონეზე თამაშობს. რაც შეეხება გოლებს, იგი კიდევ გაიტანს უამრავ გოლს. საერთოდ, რაც ნაკლებს ვილაპარაკებთ ამაზე, მით უკეთესი. ასეთი პერიოდი ყველა მაღალი კლასის ფორვარდის ცხოვრებაში დგება ხოლმე.

**— მალტასთან ფრედ ნათამაშები მატჩის შემდეგ თქვენ, კოლეგიალობის პრინციპის მომიზეზებით, თავი აარიდეთ ნაკრების წარუმატებლობაზე ჩემთან საუბარს. სხვა სპეციალისტებს ხომ გაზითაც ვერ ამოგლეჯ კრიტიკულ შეფასებას ფედერაციის საქმიანობის ნაკლსა თუ ნაკრების წარუმატებლობაზე. მედიაც ხშირად ჩუმად არის. თითოოროლამ მკვახე შეძახილს კი აინუნშიც არ აგდებენ. ვინ იცის, იქნებ სწორედ ამ ჩუმათობანამაც შეიტანა თავისი წვლილი მოლდოვას ნაკრებთან ნაჭამ სირცხვილში.**

— პირდაპირ გეტყვით — როდესაც გუნდი მატჩისთვის ემზადება, ყოველი დღე და საათი უზუსტესად უნდა დაიგეგმოს, რათა მთლიანად გუნდის თუ თითოეული ფეხბურთელის ფიზიკური კონდიციები თამაშის დროს პიკზე იდგეს. ყველაფერი უნდა გაკეთდეს საიმისოდ, რომ ფეხბურთელი ბრძოლის ჟინით ალსავსე გამოვიდეს მინდორზე, ისევე, როგორც ხარი კორიდაზე. მისი ტვინი სწრაფად, ზუსტად უნდა მუშაობდეს. მაშინ ითამაშებს გუნდი სწორად. რა თქმა უნდა, დიდი მნიშვნელობა აქვს მოთამაშეთა ტაქტიკურ განლაგებას და თითოეული ფეხბურთელისათვის სწორი ფუნქციის განსაზღვრას.

**— თქვენმა პასუხმა ბოლომდე მაინც არ დამაკმაყოფილა...**

— აღარ მეშვებით, ხომ? კარგით, მაშინ ამასაც გეტყვით: როდესაც კარგი მონადირე სანადიროდ მიდის, წინა ღამეს იგი არ დათვრება, ტყვია-წამალს გაამზადებს, თოფს კიდევ ერთხელ გაწმენდს და ნადირობისას პირველივე ნადირ-ფრინველს მოინადირებს. ჯერჯერობით ჩვენი ნაკრები და მისი ხელმძღვანელობა იმ ცუდ მონადირეს მაგონებს, თოფი სახლში რომ უვარდება.

სხვათა შორის, ნადირობის ტრფიალი ბევრი მეგობარი მყავს, არაერთხელ წამიყვანეს კიდეც სანადიროდ, მაგრამ სიამოვნება ვერ ვნახე. მე მხოლოდ ტაფაზე მორთმეული ნანადირევი მიყვარს. ალბათ მიმიხვდით, რატომ გავაგრძელე სიტყვა ასე ნადირობაზე — ყველამ თავისი საქმე უნდა აკეთოს — მწვრთნელმაც და მონადირემაც...

**— მიუხედავად თქვენი პასუხისა, მაინც მსურს სიტყვა ნაკრებზე გავაგრძელო. ჩემი აზრი — ნაკრებში თქვენი კონსულტანტად მიწვევის შესახებ მარტო თქვენდამი კეთილგანწყობით რომ არ არის ნაკარნახები, იმედია, თავადაც ხვდებით. ნაკრების მარცხისა და „დინამოს" წარმატების შემდეგ მაინც, ხომ არ ყოფილა მცდელობა ნაკრების ხელმძღვანელთა მხრიდან თქვენთან საქმიანი კონტაქტებისა, ნაკრებში მიწვევაზე რომ არაფერი ვთქვათ?**

— სხვათა შორის, ერთი მხრივ, ძალზე სასიამოვნო კი იყო გაზეთში ამ აზრის ამოკითხვა, მაგრამ, ვფიქრობ, სჯობდა მანამდე პირადად ჩემთვისაც გეკითხათ. თუმცა, ეგ თქვენი პირადი აზრია და არავისთვის არამაშფოთებელი არ უნდა იყოს, თუ ჟურნალისტი თავის ნააზრევს გაზეთში გამოიტანს. რაც შეეხება თქვენს კითხვას, გიპასუხებთ, რომ არც [illegible] და [illegible] უპასუხავს.

**— პირადად ნაკრების მთავარი მწვრთნელის ალექსანდრე ჩივაძის შესახებაც მინდა გკითხოთ...**

— საშას ერთადერთ რამეს ვურჩევდი: მეტი სითამამე მართებს ნაკრების მომზადების პერიოდში. ერთპიროვნულად მიღებული გადაწყვეტილება პირადად მას უნდა ეკუთვნოდეს. რახან სიტყვა ნაკრების მთავარ მწვრთნელზე ჩამოვარდა, მინდა თქვენი გაზეთის საშუალებით დიდი მადლობა გადავუხადო მას — ნაკრების წევრ დინამოელებზე ყრილობის ერთი დეპუტატის მიერ გამოთქმულ ბინძურ აზრს იგი მკერდით გადაეფარა. სამწუხარო ის იყო, რომ ჩივაძე ერთადერთი აღმოჩნდა ფედერაციის წევრებს შორის...

**— ყრილობაც ვახსენეთ... როგორ შემეძლო, თქვენი აზრი არ გამეგო მის შესახებ.**

— ყრილობა თავიდან ბოლომდე ფარსი იყო. სწორედ იმიტომ დავტოვე იგი პროტესტის ნიშნად. არც მოხსენება წაუკითხავთ, არც კამათი ყოფილა. მოკლედ, ყველა ხერხებით ცდილობდნენ თავიანთი მიზნების მიღწევას; ხაზს ვუსვამ, თავიანთი მიზნების მიღწევას.

მამუკა კვარაცხელია

# ქინქლაძე — ლიბერო?

**ბათუმი 3:5 დინამო**

ბათუმი, ცენტრალური სტადიონი, 3000 მაყურებელი

ბათუმი: ბალაძე (მალაყმაძე 40), გოგიტიძე, ფუტკარაძე, სიჭინავა (შანიძე 37), ე.შეყილაძე, თორლაშვილი, მ. მახარაძე, მაჭუტაძე, მუჯირი (უჯმაჯურიძე 29), ტულუში, ამბიძე

დინამო: ჩხეიძე, რევიშვილი, შ.ხუჯაძე (ცქიტიშვილი 85), დიდავა, კიკნაძე, (იაშვილი 86) ყაველაშვილი, აარველაძე, ჯამარაული, რ.არველაძე, ქინქლაძე, შ.არველაძე

0:1 შ.არველაძე (6)
0:2 ა.არველაძე (16)
1:2 მაჭუტაძე (29)
1:3 ა.არველაძე (52)
2:3 მაჭუტაძე (65 პ)
2:4 შ.არველაძე (70)
3:4 ამბიძე (78)
3:5 ა.არველაძე (86)

20-ე წუთზე რ.არველაძემ ვერ გამოიყენა პენალტი (მეკარე)

გაფრთხილება: კიკნაძე

მსაჯი: თ.მაჭარაძე (ხონი)

მატჩის წინა დღეს გამართულ საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის მესამე ყრილობაზე თბილისის „დინამოს" ტექნიკურმა დირექტორმა ვაჟა ჟვანიამ კლუბის ხელმძღვანელობის სახელით განაცხადა, რომ თბილისის „დინამო" ამიერიდან აღარ მიიღებდა მონაწილეობას ფედერაციის ეგიდით გამართულ შეჯიბრებებში. იმავე საღამოს კლუბის შეკრებაზე ფეხბურთელები დაეთანხმნენ ხელმძღვანელთა გადაწყვეტილებას და სახლებში წასულებმა ისე იცოდნენ, რომ მეორე დღეს თამაში არ ჰქონდათ. მაგრამ იმ საღამოსვე კარგა ხნის ფიქრის შემდეგ „დინამოს" ხელმძღვანელობამ სავსებით სწორი გადაწყვეტილება მიიღო: მატჩზე არგამოცხადება გუნდსაც ფორმიდან ამოაგდებდა და, ვინ იცი, რა სანქციებს მიიღებდა უეფა, თანაც წინ საპასუხისმგებლო მატჩი ელოდათ „ინსბრუკთან" ერთი სიტყვით, მეორე დღესვე შეკრიბეს ფეხბურთელები და მატჩის დაწყებამდე ერთი საათით ადრე ბათუმშიც ჩაფრინდნენ, თუმცა თბილისში დატოვეს ტრავმირებული და ავადმყოფი ფეხბურთელები: ნემსაძე, ინალიშვილი, ლობჟანიძე, შელია. ოთხი მცველის არყოფნამ ნოდიასაც კვარიანად აურია გეგმები და მატჩის მეხუთე წუთზე ერთობ რისკიანი და თამამი გადაწყვეტილებაც მიაღებინა, თუმცა ამაზე ქვემოთ...

პრობლემები ბათუმელებსაც ჰქონდათ: მტკივანი მუხლით თამაშობდა მეკარე ბალაძე, ნიჭიერი ახალგაზრდა თავდამსხმელი ხომერიკი კი კარგა ხანია ტრავმის გამო ვერ თამაშობს, თუმცა ბათუმელთა საბედნიეროდ წინ ძალზე შედეგიანად ამოქმედდა მაჭუტაძე.

მატჩი ბათუმელთა შეტევებით დაიწყო და ნიკა ჩხეიძემ ზედიზედ ორჯერ იხსნა კარი, ამბიძისა და ფუტკარაძის მასთან პირისპირ გასვლის შემდეგ კი გივი ნოდიას გულმა აღარ მოუთმინა, სკამიდან წამოხტა და პატის ხაზთან ქინქლაძეს უხმო. რამდენიმეწამიანი კონსულტაციის შემდეგ კი უცნაური რამ მოხდა: ქინქლაძემ უკან და[illegible] მცველის ადგილზე და[illegible] ამ [illegible]უამი ითამაშა. პირდაპირ გეტყვით — ასეთი ლიბერო სანთლით საძებარი ყოფილა. გიორგი ისე თამამად და თავდაჯერებით თამაშობდა დაცვაში, თითქოს კაიზნის ჭიპმოჭრილი ყოფილიყოს ამ ადგილზე: თავითაც იგერიებდა ბურთს, თანაგუნდელი კოლეგების შეცდომებსაც ასწორებდა, დაზღვევაზეც დროულად გადადიოდა, შეტევებშიც ერთვებოდა, ხანდახან კი ისეთ ხრიკებს აკეთებდა, ბათუმელი მაყურებელი აღტაცებას ვერ მალავდა.

ქინქლაძის უკან დახევა და შოთას გოლი ერთი იყო: ტრაბზონელმა ჯამბაზმა ბალაძის უხეიროდ ნაროლი ბურთი დაიჭირა, მარჯვნიდან ორ მცველს აუარა გვერდი და დასაჯა კიდეც ვეტერანი. ათ წუთში შოთა ქინქლაძის პასით მარცხნიდან შეიჭრა საჯარიმოში, ისევ ორ მცველს გასცდა და კარის ხაზთან მყოფ შაითან — არჩილს ფეხზე დაასვა ბურთი — 2:0. მალე არჩილი შეიჭრა საჯარიმოში მარჯვნიდან, მაგრამ მოცელეს და რეზომ „პალმეირასის" მერე ისევ ვერ შეძლო ბათუმში პენალტის გატანა. აქ მყისვე „შევიდა ძალაში" ფეხბურთის დაუწერელი კანონი და ამბიძის მიერ ორ დინამოელ მცველთან ბრძოლაში მარჯვნიდან ჩამოწოდებული ბურთი მაჭუტაძემ თავით „ჩააგდო" დინამოელთა კარის მარცხენა კუთხეში.

მეორე ტაიმის დასაწყისშივე ყაველაშვილის ჩინებული პასის შემდეგ შოთას დარტყმულ ბურთს ტყუპისცალმა დაამატა — 3:1. გახსნილ თამაშში საგოლე მომენტები წამდაუწუმ იქმნებოდა. თბილისელ მცველთა შეცდომით ისარგებლა თავისუფლად დატოვებულმა ტულუშმა, შეიჭრა საჯარიმოში და ჩხეიძემ მოცელა — მაჭუტაძემ პენალტით ამ ჩემპიონატში მეცხრე გოლი გაიტანა. ისევ ოდნავ მოინდომეს დინამოელებმა და რევიშვილის პასით შოთამ კვლავ აღადგინა ორბურთიანი სხვაობა. ასევე მოიქცა არჩილი ამბიძის გოლის შემდეგ.

მამუკა კვარაცხელია
ბათუმი — თბილისი

ტურის დანარჩენი მატჩები ასე დამთავრდა:

ტორპედო — დურუჯი 2:1
სამტრედია — კოლხეთი 1913 2:1
შევარდენი — კახეთი 2:2
გურია — სამგურალი 4:2
მარგვეთი — საპოვნელა 1:1
დილა — ზუგდიდი 1:0
ივერია — მეტალურგი 2:0

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| შევარდენი | 5 | 3 | 2 | 0 | 11-5 | 11 |
| დინამო | 4 | 3 | 1 | 0 | 20-5 | 10 |
| სამტრედია | 4 | 3 | 1 | 0 | 11-2 | 10 |
| გურია | 5 | 3 | 1 | 1 | 13-6 | 10 |
| ტორპედო | 4 | 3 | 1 | 0 | 7-3 | 10 |
| ბათუმი | 5 | 3 | 0 | 2 | 15-7 | 9 |
| მეტალურგი | 5 | 2 | 1 | 2 | 5-3 | 7 |
| დილა | 5 | 2 | 1 | 2 | 2-4 | 7 |
| კოლხეთი | 4 | 2 | 0 | 2 | 8-6 | [illegible] |
| დურუჯი | 5 | 2 | 0 | 8 | 7-16 | 6 |
| ზუგდიდი | 5 | 1 | 2 | 2 | 10-9 | 5 |
| მარგვეთი | 5 | 1 | 2 | 2 | 3-11 | 5 |
| ივერია | 5 | 1 | 1 | 3 | 4-6 | [illegible] |
| კახეთი | 5 | 1 | 1 | 3 | 3-11 | 4 |
| სამგურალი | 5 | 0 | 1 | 4 | 5-16 | 1 |
| საპოვნელა | 5 | 0 | 1 | 4 | 2-16 | 1 |

# ეს იმხელა შეურაცხყოფაა...



ფეხბურთის ფედერაციის ყრილობაზე ვაჟა ჟვანიას განცხადებამ კლუბის დირექტორატის სახელით, „დინამო" ფედერაციის ეგიდით გამართულ არცერთ შეჯიბრებაში არ ითამაშებსო, დიდი მითქმა-მოთქმა გამოიწვია. გუშინწინ „დინამომ" მაინც ითამაშა ბათუმში. ვითარების ასახსნელად მერაბ ჟორდანიას მივმართეთ.

**— მერაბ, ჯერ ის ვთქვათ, რამ გამოიწვია ეს განცხადება?**

— ყველა წესიერი კაცი, ვინც ყრილობაზე იყო, არ შეიძლება არ აღშფოთებულიყო ფედერაციის ხელმძღვანელთა მოქმედებით. ზღვარგადასული ცინიზმია, ქართული ფეხბურთის ბედი ფედერაციის მბეჭდავებს, მძღოლებს, მემანქანეებსა და ბუღალტრებს გადააწყვეტინო. სხვათა შორის, ყრილობაზე თავად ხმის უფლების გარეშე, სტუმრად ვიყავი მიწვეული, ისევე, როგორც კახი ასათიანი და ბევრი სხვა პიროვნება, ვისაც როგორმე რაღაცა მაინც გაუკეთებია ქართული ფეხბურთისთვის. დელეგატთა მანდატები ისეთი პრინციპით იყო განაწილებული, რომ ალბათ ანალოგი არ მოეძებნება ფეხბურთის ისტორიაში.

ამას დაემატა ერთ-ერთი დელეგატის (!) განცხადება იმის თაობაზე, რომ ნაკრების შემადგენლობაში მყოფმა დინამოელმა ფეხბურთელებმა განზრახ წააგეს მატჩი მოლდოვას ნაკრებთან. მე დელეგატის ამ უნამუსო განცხადებამ არ გამაოცა იმდენად, რამდენადაც ყრილობის მონაწილეთა უმრავლესობის დუმილმა ამის თაობაზე. ზოგმა მხარიც კი დაუჭირა!!! მიუხედავად ალექსანდრე ჩივაძის ვაჟკაცური გამოსვლისა, ეს იმხელა შეურაცხყოფაა კლუბისთვის და თითოეული ფეხბურთელისთვის, რომ მოთმინების ფიალა აგვევსო, ვაჟა ჟვანიას განცხადება დიახაც, კლუბის ხელმძღვანელობის სახელით გაკეთდა.

**— მიუხედავად ამისა, ბათუმში მაინც ითამაშეთ...**

— ამით ჩვენი გადაწყვეტილება არ იცვლება. ისევ ქართული ფეხბურთის და ნაღდი გულშემატკივრის ინტერესების გათვალისწინებით ვითამაშებთ მომდევნო მატჩს „შევარდენთან", ავსტრიაშიც გავემგზავრებით და ყველას დავუმტკიცებთ, როგორი თამაში იციან დინამოელებმა. ამის შემდეგ კი ვწყვეტთ ფედერაციის ეგიდით გამართულ შეჯიბრებებში მონაწილეობას. იმედია, საზოგადოება, კომპეტენტური ორგანიზაციები და ქართული ფეხბურთის გულშემატკივრები არ მიგვატოვებენ და როგორც საჭიროა, ისე ჩაერევიან ამ საქმეში.

**— რამდენადაც ვიცით, თანადგომაც გამოგიცხადეს...**

— „შევარდენმა", „სამტრედიამ" და კიდევ რამდენიმე გუნდმა სრული სოლიდარობა და თანადგომა გამოგვიცხადა. გვირეკავენ გულშემატკივრებიც. მოკლედ, „დინამოს" და ქართულ ფეხბურთს ერთგულ, სინდისიერ ქომაგს რა გამოულევს საქართველოში...

## გერმანია

V ტური. 16-18 სექტემბერი. ვერდერი — მიონხენგლადბახი 1:0, ლევერკუზენი — დორტმუნდი 2:2, შტუტგარტი — აინტრახტი 4:1, ურდინგენი — კაიზერსლაუტერნი 1:3, შალკე — კიოლნი 3:1, ბაიერნი — ჰამბურგი 1:1, დინამო — დუისბურგი 4:2, ბოხუმი — ფრაიბურგი 1:3, კარლსრუე — მიუნხენ 1860 3:1.

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ვერდერი | 5 | 4 | 1 | 0 | 12-4 | 9 |
| დორტმუნდი | 5 | 3 | 1 | 1 | 15-8 | 7 |
| კარლსრუე | 5 | 3 | 1 | 1 | 12-7 | 7 |
| შტუტგარტი | 5 | 3 | 1 | 1 | 12-7 | 7 |
| ბაიერნი | 5 | 3 | 1 | 1 | 11-7 | 7 |
| კაიზერსლაუტ. | 5 | 3 | 1 | 1 | 9-6 | 7 |
| ფრაიბურგი | 5 | 3 | 0 | 2 | 12-9 | 6 |
| შალკე | 5 | 2 | 2 | 1 | 7-5 | 6 |
| ჰამბურგი | 5 | 2 | 2 | 1 | 6-4 | 6 |
| ლევერკუზენი | 5 | 2 | 1 | 2 | 11-7 | 5 |
| გლადბახი | 5 | 1 | 2 | 2 | 5-7 | 4 |
| აინტრახტი | 5 | 1 | 2 | 2 | 6-10 | 4 |
| კიოლნი | 5 | 1 | 2 | 2 | 6-11 | 4 |
| დინამო | 5 | 1 | 1 | 3 | 6-10 | 3 |
| ურდინგენი | 5 | 0 | 3 | 2 | 3-7 | 3 |
| ბოხუმი | 5 | 1 | 0 | 4 | 5-12 | 2 |
| დუისბურგი | 5 | 0 | 2 | 3 | 6-14 | 2 |
| ტსვ მიუნხენი | 5 | 0 | 1 | 4 | 2-11 | 1 |

## ესპანეთი

III ტური. 17-18 სექტემბერი. ვალენსია — ტენერიფე 2:1, სარაგოსა — ოვიედო 2:1, ესპანიოლი — ბარსელონა 0:0, სევილია — ლოგრონიესი 1:0, კომპოსტელა — ვალიადოლიდი 1:0, სპორტინგი — სელტა 0:0, ატლეტიკი — ბეტისი 1:0, ალბასეტე — რეალი 1:1, რასინგი — ლა კორუნია 1:2, ატლეტიკო — რეალ სოსიედადი 2:1.

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ლა კორუნია | 3 | 3 | 0 | 0 | 6-2 | 6 |
| ესპანიოლი | 3 | 2 | 1 | 0 | 8-2 | 5 |
| რეალი | 3 | 2 | 1 | 0 | 7-2 | 5 |
| სარაგოსა | 3 | 2 | 1 | 0 | 6-4 | 5 |
| ვალენსია | 3 | 2 | 0 | 1 | 6-4 | 4 |
| სევილია | 3 | 2 | 0 | 1 | 3-4 | 4 |
| ბეტისი | 3 | 1 | 1 | 1 | 4-2 | 3 |
| ტენერიფე | 3 | 1 | 1 | 1 | 4-4 | 3 |
| სპორტინგი | 3 | 1 | 1 | 1 | 3-3 | 3 |
| ბარსელონა | 3 | 1 | 1 | 1 | 3-3 | 3 |
| სელტა | 3 | 0 | 3 | 0 | 2-2 | 3 |
| კომპოსტელა | 3 | 1 | 1 | 1 | 3-4 | 3 |
| ატლეტიკი | 3 | 1 | 1 | 1 | 2-3 | 3 |
| სოსიედადი | 3 | 1 | 0 | 2 | 4-4 | 2 |
| ატლეტიკო | 3 | 1 | 0 | 2 | 4-6 | 2 |
| ალბასეტე | 3 | 0 | 2 | 1 | 3-6 | 2 |
| რასინგი | 3 | 0 | 1 | 2 | 2-4 | 1 |
| ოვიედო | 3 | 0 | 1 | 2 | 5-8 | 1 |
| ლოგრონიესი | 3 | 0 | 1 | 2 | 0-3 | 1 |
| ვალიადოლიდი | 3 | 0 | 1 | 2 | 0-5 | 1 |

ტურისტული ფირმა „იმედი-92"
გთავაზობთ მოგზაურობას შემდეგ ქვეყნებში:

ჰოლანდია-ბელგია. პირველად თბილისიდან პირდაპირი რეისი თბილისი — ამსტერდამი. ფირმა დაგეხმარებათ მანქანების შეძენაში. სასწრაფოდ დაგეხმარებით „ბენი-ლუქსის" გახსნაში.

ეგვიპტე (ქაირო-ალექსანდრია) — მგზავრობა თვითმფრინავით პირდაპირი რეისით თბილისიდან თბილისამდე.

საბერძნეთი (სალონიკი) — მგზავრობა თვითმფრინავით პირდაპირი რეისით, ასევე ავტობუსით.

ბულგარეთი (ვარნა) — თურქეთის გავლით. გასვლა თბილისიდან „მერსედესის" ტიპის ავტობუსით.

ლიბანი (ბეირუთი) — მგზავრობა თვითმფრინავით. პირდაპირი რეისი, პირველად თბილისიდან.

სინგაპური — მგზავრობა თვითმფრინავით. პირდაპირი რეისი, პირველად თბილისიდან.

ჩვენი მისამართი: ალ.ყაზბეგის გამზ. 42, ვაჭრობისა და მომარაგების სამინისტრო, IV სართული. ტელეფონები: 39-36-78; 38-11-14; 39-24-32.

გამომცემლობა „მარდი"
უმოკლეს ვადაში და
ხარისხიანად
დაგიკაბადონებთ და
გამოსაცემად
მოგიმზადებთ
წიგნებს, ჟურნალებს,
ბროშურებს,
სამეცნიერო შრომებსა
და დისერტაციებს.

ტელეფონები: 39-48-28, 39-36-78, 38-11-14

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ვალერი ტიხონენკო — პატრიოტის და ლიდერის ნიმუში



სამარის „აირ ფორჟესსა" და „კაქტუსს" შორის კორაჩის თასის განმეორებითი მატჩის წინ თბილისელებს ყველაზე მეტად ერთი რამ აინტერესებდათ: ითამაშებდა თუ არა მათ წინააღმდეგ მეტოქე გუნდის ყველაზე სახელიანი წევრი, ოლიმპიური ჩემპიონი ვალერი ტიხონენკო. ამ კალათბურთელმა შეხვედრის დღესვე ერთობ ჯენტლმენურად გასცა პასუხი ამ კითხვას — საუზმეზე თავად ეახლა თბილისელებს, ნაცნობები მოიკითხა, უცნობებს კი გაეცნო. ტიხონენკო პირველი შემოვიდა „კაქტუსის" დილის ვარჯიშზე და სანამ მისი თანაგუნდელები გასახდელში საქმიანობდნენ, ყურადღებით აკვირდებოდა მომავალ მეტოქეს.

თამაშის დროს ვალერი გუნდის ლიდერის ტიპიური განსახიერებაა. იგი განსაზღვრავს კოლექტივის ყველანაირ მოქმედებას. რამდენიმე კრიტიკულ მომენტში, როცა იგი დახასვენებლად სკამზე იჯდა, არავის თქმას არ დაელოდა, მწვრთნელი გააფრთხილა და თამაშში ჩაერთო, რითაც თავისიანები აშკარად გამოაცოცხლა. ამასთან, ტიხონენკო ძალზე მომთხოვნი და ზოგჯერ უხეშიცაა: ერთი-ორჯერ სულ მკვდარ-ცოცხალი ამოუტრიალა თანაგუნდელებს, წესიერად ათამაშდით, თორემო... ჟურნალისტებთან ურთიერთობისას ვალერი დიამეტრალურად საპირაპირო პიროვნებაა. მისივე თქმით, იგი პრესის აზრის ყველაზე მეტად დამფასებელი კალათბურთელია რუსეთში.

**— ვალერი, რატომ არ ჩამოხვედით თბილისში?**

— მძიმედ ვიყავი ავად. 17 ივნისს წითელ მოედანზე თამაში გაიმართა სეულის ოლიმპიურ გუნდსა და ამერიკელ ყოფილ პროფესიონალებს შორის. ამას ბანკეტი მოჰყვა, და იქ მე, ვოლკოვი და მიგლინიეკსი ისე მოვიწამლეთ, რომ ლამის დავიხოცეთ. დავიწყე მკურნალობა. თბილისის მატჩისთვის მთლად ვერ მოვმჯობინდი, ამიტომ ჩამოსვლას აზრი არ ჰქონდა. თქვენთან რომ მეთამაშა, დღეს მოედანზე ველარ გამოვიდოდი.

**— თბილისის მატჩის დროს ისრაელში ყოფილხართ. იქ ხომ არ აპირებთ გადასვლას?**

— ეს მხოლოდ წინასწარი ლაპარაკია. მართლაც ვიყავი ისრაელში, „მაკაბისა" და პირეოსის „ოლიმპიაკოსის" მატჩზე. „ოლიმპიაკოსში" ჩემი მეგობარი ალექსანდრ ვოლკოვი გამოდის. მისი ნახვა მინდოდა და მაინტერესებდა, როგორ თამაშობდა. შევხვდი ისრაელის კალათბურთის მამას რალფ კლაინს. მან შემომთავაზა თელ-ავივში გადასვლა, მაგრამ მე ფიქრადაც არ გამივლია. ამ ეტაპზე ეს არარეალურია და, საერთოდ, მეეჭვება, სადმე წავიდე.

**— რატომ, „აირ ფორჟესთან" კონტრაქტი გაქვთ?**

— კონტრაქტი, როგორც ქაღალდზე გაფორმებული ვალდებულება, არც მე და არც ჩემს თანაგუნდელებს არ გვაქვს. ასე რომ, არ გვაქვს არავითარი იურიდიული პასუხისმგებლობაც. ჩვენს გუნდში ისეთივე მეგობრული ურთიერთობებია, როგორც 10-15 წლის წინათ იყო. არსებობს სიტყვიერი შეთანხმება მწვრთნელთან და მეტი არაფერი.

**— ამბობენ, ტიხონენკოს წაყვანა მოსკოვის ცსკა-ს სურსო...**

— იყო ასეთი საუბარი, უნდოდათ ჩემი მეორეჯერ მიბრუნება მაგ გუნდში. მაგრამ ეს ცარიელი სიტყვები აღმოჩნდა. ცსკა-მ ის კოლექტივი შეკრიბა, რომელიც ამ სეზონისთვის სჭირდებოდა. მათ აიყვანეს ორი ამერიკელი და მსოფლიო ჩემპიონატის შემდეგ რუსეთის ნაკრებიდან კისურინი და პანოვი გადაიბირეს. ამიტომაც, თანხმობაც რომ მეთქვა, წმინდა ფინანსური საკითხის გამო ვერ დამაკმაყოფილებდნენ. ისე, ცსკა საინტერესო გუნდია და წელსვე შეუძლია ევროთასებზე კარგად გამოსვლა. რუსეთის ჩემპიონატზე არაფერს ვამბობ — იქ კონკურენტი არ ეყოლება.

**— იმასაც ამბობენ, ცსკა სამარის „აირ ფორჟესის" ოთხ მოთამაშეს თავისთან ეპატიჟებაო.**

— ეგ ვინ გითხრათ?

**— თქვენმა გუნდელებმა.**

— საინტერესოა, მე რატომ არ მითხრეს? პატიოსან სიტყვას გაძლევთ, ასეთი რამ პირველად გავიგე. ცსკა ვერ შეძლებს ორი ამერიკელის, მსოფლიოს ჩემპიონატის ორი ვერცხლის მედალოსნის და ოლიმპიური ჩემპიონის ერთბაშად შენახვას. სამარელები რაღაც უნდათ, თავისი სად წაიყვანონ, ის აღარ იციან.

**— მსოფლიო ჩემპიონატზე რატომ არ წახვედით?**

— ნაკრების მწვრთნელმა სერგეი ბელოვმა ჩემთვის გამონაკლისი დაუშვა და კანადაში გამგზავრებამდე მხოლოდ სამი კვირით ადრე უნდა გამოვცხადებულიყავი შეკრებაზე. უნდა მეთამაშა ჯერ კეთილი ნების თამაშები, მერე — საბერძნეთის ტურნირი, შემდეგ — ჩემპიონატი. მაგრამ 17 ივნისის მოწამვლამ კანადაში კი არა, კინაღამ საიქიოს გამისტუმრა.

**— ვალერი, თქვენ ესპანეთში თამაშობდით. უცებ, საუკეთესო ფორმაში მყოფმა იქაურობა მიატოვეთ და რუსეთის პროვინციულ გუნდში დაბრუნდით, როცა რუსული კალათბურთის ფლაგმანები კი არა, ევროპის ყველა კლუბი გინატრებდათ...**

— ეს პირადი მოტივებით იყო გამოწვეული. ერთს გეტყვით — ესპანეთში ყოფნისას დავქორწინდი და ამაზე მეტს ნურაფერს შემეკითხებით. ესპანეთში კარიერა რომ დავასრულე, ევროპის გუნდებშიც შემეძლო თამაშის გაგრძელება და ოკეანის გაღმაც. მაგრამ მოვკიდე ხელი ჩემს დედით ობოლ ვაჟიშვილს და სამარაში წავედი.

**— რატომ სამარაში და არა, ვთქვათ, იგივე ცსკა-ში ან მოსკოვის „დინამოში"?**

— სამარის „აირ ფორჟესი", ყოფილი ალმა-ათის სკა, ჩემი გუნდია. რუსეთში პირველი არ არის, მაგრამ — ჩემია. ამ ბიჭებთან ერთად გავიზარდე, ზოგიერთი თვად გავზარდე, აქ მუშაობს ჩემი აღმზრდელი ოლეგ კიმი. სწორედ ისინი დამეხმარნენ, ბოლო სეზონში რუსეთის საუკეთესო კალათბურთელი რომ გავხდი.

**— გამოდის, ამ კლუბშივე დაასრულებთ თქვენს კარიერას?**

— კარიერის დასრულებას ჯერ არ ვაპირებ. ვგრძნობ, რომ თამაში დიდხანს შემიძლია. ყოველ შემთხვევაში, ფიზიკურად კარგად ვარ. ევროპაში წასვლაზე ძნელია რამე ვთქვა, ჯერ არ მინდა. ამ სეზონს ისევ ჩემს გუნდში გავატარებ.

**— თქვენ ახლა ეთამაშეთ საქართველოს მესამე პრიზიორს და, ფაქტიურად, ჩვენი ქვეყნის ახალგაზრდულ ნაკრებს. რა აზრი დაგრჩათ მასზე?**

— საქართველოს და ქართველებს დიდ პატივს ვცემ, მაგრამ რასაც ახლა გეტყვით, ღირსებას ვფიცავარ, ალალად ვამბობ: ძალიან კარგი გუნდია. 27 ქულა მოვიგეთ, ოღონდ ამან არ მოგატყუოთ: ზოგიერთი ფქვენიანი დაბადებული არ იყო, როცა მე და ჩემი რამდენიმე თანაგუნდელი კალათბურთს ვთამაშობდით. ზოგიერთი, ალბათ, ბურთის ტარებას სწავლობდა, როცა მე სეულის ოლიმპიადა მოვიგე. ჩემს მეურვეზე 15 ნომერზე ვთქვათ (რევაზ ჩხეიძე — რედ.): თამაშიდან მხოლოდ 14 ქულა გამაკეთებინა, როცა ჩემთვის 20-25 ქულა პრობლემა არ არის. შეტევაშიც გვარიანად მაწვალა. გამოცდილება მასზე გაცილებით დიდი მაქვს და ამიტომაც მოვახერხე მეორე ტაიმის შუაში მისი სათადარიგოთა სკამზე გაგზავნა. ხოლო თქვენი 13 ნომერი (ვახტანგ ნაცვლიშვილი — რედ.) ამდენ ხანს რატომაა საქართველოში და არა ევროპაში ან სხვაგან, გასაკვირია. მას აქვს შანსი დიდი კალათბურთელი დადგეს. ალბათ, ასეც მოხდება და მაშინ გამიხსენეთ.

მერაბ რატიშვილი

მოსკოვი — თბილისი

---

# ღარიბი, ღარიბი, ღარიბი სამყარო

ახლა, როდესაც ევროთასების მონაწილე ყველა ჩვენმა გუნდმა მარცხი იწვნია, ქართული საკალათბურთო სამყარო გაზაფხულამდე მომავალი ეროვნული ჩემპიონატის ამარალა დარჩა. მიზეზთა გამო, ამაში სატირალი არაფერია. გარდა საკუთარი თავისებურებებისა, ვიშვიშის საბაბს არც ის საზოგადო ამბავი გვაძლევს, რომ მთელ ევროპაში, ერთი თუ ორი ქვეყნის გარდა, ისეთ ანშლაგზე, შიგა ჩემპიონატის პრინციპულ მატჩებზე რომ არის ხოლმე, ევროთასების შეხვედრებზე არც კი ოცნებობენ. აქ ადამიანს ბუნებრივად წამოსცდება რეპლიკა, ეროვნულ ჩემპიონატსაც გააჩნიაო. ეროვნული ჩემპიონატია NBA, ესპანეთის, იტალიის, საბერძნეთის პირველობები. განა შეიძლება მათთან ჩვენი ჩემპიონატის მოტანა? ერთი მხრივ, ასეთი შედარება მკრეხელობაა, მაგრამ, მეორე მხრივ, როგორც გიჭირდეს, ისე გილხინდესო. გახსოვთ, შარშანდელი სუპერფინალი და მის ირგვლივ ამტყდარი აჟიოტაჟი?



გია ახალაძის ფოტო.

ქვეყნის მომავალ ჩემპიონატსა და სხვა საკითხებზე ვესაუბრეთ საქართველოს კალათბურთის ფედერაციის ვიცე-პრეზიდენტს როლანდ ხომერიკს.

**— ბატონო როლანდ, პირველ ყოვლისა, გთხოვთ, ჩვენი გუნდების მონაწილეობით გამართული ამასწინანდელი ევრომატჩები შეაფასოთ.**

— მოულოდნელი არაფერი მომხდარა. ჯერ კიდევ საბჭოთა კავშირის ჩემპიონატების დროს, ლევან მოსეშვილი „დინამოს" ვარჯიშით სიქას რომ აცლიდა, მაშინ ვიყავით საშუალონი და ახლა ბევრი გუნდი სათანადოდ რომ არც კი ვარჯიშობს, განა კარგი შედეგის იმედი უნდა გვქონოდა?! და მაინც, ბევრი რამ სასიკეთო მოხდა. ჯერ ერთი, საერთაშორისო სარბიელზე ძალები მოვსინჯეთ, ვინმლო ცრუ ამბიციებიც გაგვიქარწყლდა და ჩვენი დონეც ზუსტად შევაფასეთ. გასახარი იყო, რომ ძლიერ მეტოქეებთან ჭიდილში „ვითამ" და „კაქტუსმა" თავი არ შეირცხვინეს. ძალზე მნიშვნელოვანი კი ის გახლავთ, რომ შეხვედრები თბილისში გაიმართა, ფიბა-მ დაინახა, რომ არაფერზე დაუჩივლიათ, მოკლედ, გამოჩნდა, რომ ჩვენთან ყველაფერი რიგზეა და სერიოზული შეჯიბრებების ჩატარებაც შეგვიძლია. თანაც, ამ მატჩებისთვის მზადებისას, ჩვენმა გუნდებმა ბურთები და ფორმებიც შეიძინეს.

**— ახლა ეროვნული პირველობის დროც მოვიდა — როდის დაიწყება ჩემპიონატი?**

— უახლოეს ხანს შევიკრიბებით ფედერაციის ხელმძღვანელები, მწვრთნელები, სხვა პასუხისმგებელი პირნი და მეტად პრინციპულ საუბარს გავმართავთ. საქმე ის გახლავთ, რომ რამდენიმე გუნდს (თბილისი, მერანი, თორსი, ჯიქი) ძალიან უჭირს და შესაძლოა ჩემპიონატში მონაწილეობა ვერც კი შეძლოს. ქუთაისის „ჯიხვს" შარშან ხელი გავუმართეთ, წლეულს კი საამისო სახსრებს ვერ გამოვნახავთ, ასე რომ, სპონსორის ძიება მოუწევს. მეტისმეტად მნიშვნელოვანია გუნდების შემოსატანი თანხა — მსაჯთა ანაზღაურება, ანუ მათი პირველობაზე ყოფნა-არყოფნის საქმე, შეჯიბრების საორგანიზაციო ხარჯები და სხვა, ამ თანხაზე ჰკიდია. ამ დროს კი ზოგ კლუბს შარშანდელი ფულიც არ გაუსტუმრებია. სანამ ეს საკითხი არ გადაწყდება, ვერც ჩემპიონატის სისტემაზე მოგახსენებთ რამეს, ვერც დაწყების თარიღზე.

**— ჭორად გავიგეთ, „ვითა" და „დინამო" ეროვნული ჩემპიონატისგან განდგომას და ე.წ. სნგ-ს პირველობაში ჩართვას აპირებდნენო.**

— ჩემთვის ეს არ უთქვამთ. ისე კი, რომც მოიწადინონ, ალბათ არაფერი გამოუვათ. ჯერ კიდევ ორი წლის წინ პეტერბურგში, ფიბა-ს გენერალურ მდივანთან ბორისლავ სტანკოვიჩთან შეხვედრის დროს ვესაუბრე რუს კოლეგებს, რომლებმაც ცალსახად განმიცხადეს, რომ ჩვენთან რეგულარულად თამაშის სურვილი არ გააჩნიათ. მარტივი საქმეა, თბილისში ჩამოფრენა-დაბინავების ხარჯებს ერიდებიან. პეტერბურგელები ან მოსკოველები, ერთმანეთთან, აგრეთვე ვილნიუსსა თუ რიგაში მატარებლით ჩავლთ და იაფადაც გამოვალთო.

**— და მაინც, როგორც ჩანს, კარგ გუნდებს თვალი გაქცევაზე უჭირავთ. ამის საპირისპიროდ, ჩვენი ჩემპიონატი უეჭველად უნდა გაძლიერდეს. ამას როგორ აპირებთ?**

— ფედერაციის შესაძლებლობანი შეზღუდულია. ჩვენ ბიუჯეტზე ვართ დამოკიდებული. ამასწინათ ლიტველებს ვესაუბრე. მათ ჩემპიონატს, თურმე, რამდენიმე ძლიერი ბანკი და გაზეთი აფინანსებს. თამაშების გადაცემის უფლება ორი ტელეარხისთვის მიუყიდიათ. კლუბების შემოსატანი ზღვაში წვეთია. მაგრამ ის ლიტვაა, დალაგებული ქვეყანა, სადაც კალათბურთი საგანგებო ყურადღების საგანია. ქვეყნის პრეზიდენტით დაწყებული და დამლაგებლით დამთავრებული, ყველა სპორტის ამ სახეობას ეთაყვანება. ჩვენთან კი, სანამ სოციალურ-ეკონომიკური პრობლემები არ მოგვარდება, მანამდე წინსვლა გაძნელდება. აუცილებელია სპონსორის საქველმოქმედო თანხა არ დაიბეგროს და, საერთოდაც, ქვეყანაში ფირმები წარამარა არ უნდა კოტრდებოდნენ. ახლა კი ვინმე შეძლებული მეგობარი ერთჯერად დახმარებას თუ გაგვიწევს.

**— გარსიდან საქმეში ნაკრებიც უნდა ჩაერთოს.**

— დიახ. მომავალი წლის მაისში ვაჟთა, ქალთა და ახალგაზრდული ნაკრებები ევროპის ჩემპიონატების შესარჩევ ციკლს იწყებენ. ვაჟთა და ქალთა ჩემპიონატების ფინალური ეტაპი 1997 წელს, ახალგაზრდათა კი 96-ში გაიმართება. ამ შეჯიბრებებში მონაწილეობის დასტური ფიბას 30 სექტემბრამდე უნდა გავუგზავნოთ. თუ ჯერ დავეთანხმებით, შემდეგ კი აღარ ვითამაშებთ, 20 ათასი გერმანული მარკით დაგვაჯარიმებენ. ასე რომ, უახლოეს დღეებში უნდა გადაწყდეს ნაკრებთა დაფინანსების საკითხი. გასარკვევია, საჭირო თანხის რა ნაწილს გაიღებს სპორტკომიტეტი, რას — სპონსორი. ჩვენი ანგარიშით, ამ საქმეს 100 ათასი დოლარი დასჭირდება.

**— ტელევიზიით ითქვა, ჩვენს ეროვნულ გუნდს თავად NBA-ს ერთ-ერთი კლუბი, სახელდობრ, „იუტა ჯაზი" უპატრონებსო.**

— „იუტას" ჩვენი ახალგაზრდული ნაკრების მწვრთნელი თამაზ ოქრუაშვილი დაუკავშირდა. ამერიკელთა პასუხი კი ასეთი იყო, ჩვენ ეროვნულ ნაკრებს ვუსპონსორებთო. (კონკრეტულად რაში გამოიხატება სპონსორობა, ჯერ უცნობია — რედ.)

შესაძლოა, ამერიკელებს არ ესმით კალათბურთელთა ფიბასეული, ასაკობრივი დაყოფა და პასუხში მთავარი ნაკრები ამიტომ ახსენეს. ამ საკითხთან დაკავშირებით ჩემი პოზიცია ასეთია: „იუტასთან" მოლაპარაკება ოქრუაშვილმა უნდა გააგრძელოს, ეროვნული გუნდი კი მხოლოდ იმ შემთხვევაში უნდა ჩაერიოს, თუ ამერიკელები, მას მერე, რაც საქმის არსში გაერკვევიან, მაინც მის სპონსორობას დაჟინებენ.

ილია ბაბუნაშვილი

**კორაჩის თასი. ოდესა. 14 სექტემბერი**

**ჰიპა — მოდა (ოდესა) — მერანი (თბილისი) 92:75**

მთელი მატჩის განმავლობაში მასპინძლები 4-7 ქულით ლიდერობდნენ, შესვენებაზეც 6-ქულიანი უპირატესობით წავიდნენ. დამთავრებამდე სამი წუთით ადრე „მერანი" 5 ქულით ჩამორჩებოდა, მაგრამ დაიღალა და მასპინძლები საფუძვლიანად გაიჭრნენ წინ. თბილისელთაგან კარგად უთამაშიათ ცხვედიანსა და უძილაურს.

# ნორჩი ვარსკვლავის დაცემა და იმედი



ჯენიფერ კაპრიატის ორი სურათი: მარჯვენა 1992 წელს, ბარსელონაში ოლიმპიადის მოგების შემდეგაა გადაღებული, მარცხენა კი ამა წლის აპრილში, მაიამის პოლიციის უბანში, სადაც ნარკომანობაში ეჭვმიტანილი ყმაწვილქალი მიაბრძანეს

სასოწარკვეთილი იერი, ჩაფერფლილი სახე, ცხვირის ნესტოში გაყრილი რგოლი, ჩამქრალი თვალები — უსიტყვო ვედრება: „გადამარჩინეთ".

ასეთი იხილეს 1992 წლის ოლიმპიური ჩემპიონი ჯენიფერ კაპრიატი მის დასაპატიმრებლად მაიამის სასტუმრო „გეიბელს ინში" მისულმა პოლიციელებმა.

იგი იშვიათად თუ შეივლიდა სახლში და მაშინაც საკუთარ განცდებში ჩაფლული თავისი ახლობლებისგან შორს სხვა სამყაროში იმყოფებოდა. „აკრძალულ ხილს" წაატანა ხელი და ამერიკული ფილმის უარყოფითი გმირის ყველა ატრიბუტიც იგემა: ნარკოტიკები, პოლიციის მიერ მხილება და საზოგადოებისგან გაკიცხვა.

„ის ეძებს თავის თავს. ეს ხომ ჩვეულებრივი მოვლენაა მისი ასაკის გოგონებში" — თქვა კაპრიატის „მოძღვარმა" კრის ევერტმა, რომელსაც თავადაც ჰქონდა ამგვარი პრობლემები ახალგაზრდობაში. მისმა აგენტმა, კრის ევერტის ძმა ჯონმა იგი უკვე დიდი ხანია მიატოვა. მხოლოდ ბარბარა პერი დარჩა ჯენის ერთგული. ისიც ხომ ქალია და კარგად უწყის სუსტი სქესის პრობლემები. პრობლემა კი აი რა გახლავთ:



ჯენიფერი და მამამისი სტეფანი ცხოვრებას შეხაროდნენ

კაპრიატი უკვე ორი წელია ძალზე სუსტად ასპარეზობს, მიეძალა ალკოჰოლს და ნარკოტიკებს, შარშან დეკემბერში კი 15-დოლარიანი საყურის ქურდობისთვის დააკავეს. კლეპტომანიის ეს გამოვლინება მისმა მენეჯერმა — ფირმა IMG-მა „უნებლიე შეცდომად" გაასაღა.

ერთბაშად თავსდამტყდარ ამდენ უბედურებაში „დამცხრალი ვარსკვლავი" თავადაც ვერ გარკვეულა: ავად თუ კარგად მიჰყვები ცხოვრების დინებას. უკაცრავად ამ გამოთქმისთვის, მაგრამ მიმიფურთხებია ყველა ჭორისთვის, რაც ჩემზე დადის".

ახლა, ამდენი თავგადასავლის შემდეგ, იგი მომავლის რწმენით დაუბრუნდა ოჯახს. ამერიკის ნაკრების მწვრთნელს მარტი რიზეს ნება დართო გუნდში სათადარიგო მოთამაშედ დაესახელებინა. ჩოგბურთმა იგი კრიზისიდან უნდა გამოიყვანოს — მიაჩნია ჯენიფერის ყოფილ მწვრთნელ რიკ მაჩს. ქალთა ჩოგბურთის ასოციაციის ტურნირების საორგანიზაციო კომიტეტის უფროსის, გერი სმიტის აზრით, ჯენიფერ კაპრიატი მალე დაიბრუნებს ჩვეულ ფორმას და ათეულშიც დაიმკვიდრებს ადგილს. ამისთვის მან უპირველეს ყოვლისა ცხოვრება უნდა მოიწესრიგოს.

კაპრიატიმ საამისოდ პირველი ნაბიჯიც გადადგა: ის სარეაბილიტაციო კურსს გადის მაიამის „მაუნთ სინაის" სამედიცინო ცენტრში.

„სპორტ-ბილდის" მიხედვით შეთხზა
ერეკლე კიკილაშვილმა



# ფოტოგრაფის ხვედრი

**ეიმონ მაქქეიბი ინგლისის გაზეთ „გარდიანის" (გუშაგის) ფოტო-რედაქტორია და წლის საუკეთესო სურათის გამოსავლენი ეროვნული კონკურსიც სარეკორდოდ ბევრჯერ მოუგია. გთავაზობთ მის მონათხრობს რაგბის გადაღების შესახებ.**

გაზეთ „ობზერვერისთვის" (დამკვირვებლისთვის) ათი წლის მანძილზე ვიღებდი რაგბს, თუმცა კი ამ თამაშის წესებისა ცოტა გამეგებოდა. ამგვარი უმეცრება შემლის ნაცვლად უფრო ხელს მიწყობდა, რაკილა არ ვუწყოდი, მოედანზე შემდეგ წამს წესითა და რიგით რა უნდა მომხდარიყო. იქნებ ჩემი ფოტოები რაგბის წესების თვალსაზრისით ტექნიკურად სრულყოფილი ვერც იყოს, ვინაიდან გაზეთის მიერ მონიჭებული შემოქმედებითი თავისუფლება თამაშის ჩემებურად დანახვის საშუალებას მაძლევდა, მაგრამ მიყვარდა სარაგბო თეატრი, მოთამაშეთა განსხვავებული სახეები და აღნაგობა, ნაირგვარი ილეთები და საერთაშორისო მატჩების ზე-ემოციურობა.

რაგბი იქნებ ჩემი სპორტიც გამხდარიყო, სკოლაში რომ ეთამაშა. რადგანაც ასე არ მომხდარა, კვირა დილის ფეხბურთელი შევიქენ. მიუხედავად ამისა, მაინც მგონია, რომ რაგბში ყველაზე მეტად გარე ნახევარმცველად ვივარგებდი. ფეხბურთის თამაშისას ხშირად უთქვამთ, ისე თამაშობ, როგორც კაჟი რაგბსო. ფეხბურთელთა შებოჭვა იმდენად კარგად შევითვისე, რომ მოედნიდანაც ბევრჯერ უნდა გავეძევებინე. ერთი სიტყვით, ბედი სულ სხვა თამაშში უნდა მეცადა.

ჩრდილოეთი ლონდონის გაზეთებისათვის რაგბის გადაღებას მაშინ მოვკიდე ხელი, როცა შევატყე, რომ ამათ შტატს გათოშვა და დახველება ჭირივით სძულდა. სპორტული ნაკვეთების რედაქტორება თავს იკლავდნენ ფოტოების მოსაპოვებლად, მათი მეშვეობით გვერდები რომ დაესურათხატებინათ და ისინი რეკლამა-განცხადებათა ნიაღვრისაგან დაეცვათ.

ციოდა და წვიმდა, მე კი საათობით უნდა ვმდგარიყავ და ჩამუქული კვართები შემოდგომის განძარცული ხეების ფონზე მელო. არავის უთქვამს, „სარკინოზები" (ცნობილი ჩრდილოეთ ლონდონური კლუბი) შავად იმოსებიანო, რისი და ზამთრის ბინდბუნდის წყალობითაც დიდ ხანს ვანდომებდი ხეირიანი კადრის დაჭერას. ფოტოგრაფიას პროფესიულად არსად დავუფლებივარ. ჰოდა, ყველაფერი მუშაობის კვალად უნდა მესწავლა სამეფო საჰაერო ძალების მიერ ჩამოწერილი ფოტო-ქალალდის იმედად, რომელსაც ვარგისობის ვადა კარგა ხანია გასვლოდა.

ბედს ერთ მშვენიერ დღეს ვეწიე. „ლონდონელი უელსელები" საუსგეითს, რომ ეწვივნენ. ერთი ფოტო რიგიანი გამომივიდა. იგი „დეილი თელეგრაფს" მივყიდე (ნუ გაუმხელთ ჩემს ახლანდელ უფროსობას!) და ფლით-სთრითზეც უმალ კუჭზე წამომაგეს.

ერთი ხანობა „გარდიანს" თარხან მუშაკად ვემსახურე. მერე „ობზერვერთან" ხელშეკრულება გავახერხე და დიდი საერთაშორისო თამაშების გადასაღებად გავემზადე. ეჰ, ნეტავი მცოდნოდა, რა მელოდა.

პირველი დარტყმა თვიქნემში ვიგემე. ინგლის — ირლანდიის თამაშს ვიღებდი, მოედნის კიდის გასწვრივ აქეთ-აქით ჩვეულებისამებრ დავრბოდი. ერთხელაც, საჯარიმო რომ დაინიშნა, რამდენადაც შემეძლო, დავიხარე. უცებ კეფაში რაღაც ისე მაგრად მომხვდა, რომ ცხვირი აპარატს დავკარ და დავეცი. რომ მოვიხედე, ახმახმა პოლიციელმა მკითხა, ხომ არ უჩივლებ აი იმ ძველ ბიჭს, ვისკით რომ გაჭყეპილა, დიდ გულზე რომაა და შენმა ზურგმა ხედი რომ დაუფარაო. ვიუარე, რაკილა თვიქნემის ადმინისტრაციას შეიძლება აეკრძალა ფოტოგრაფებისათვის კიდეზე ყოფნა, რაც ამათ აგრერიგად უყვართ.



თურმე უარესიც მელოდა. კარდიფის ეროვნულ სტადიონზე ისე მღერიან და ღრიალებენ, რომ მთელს სხეულში ჟრუანტელი დაგივლის. ხალხი ტრიბუნებზე ადგილს თამაშის დაწყებამდე კარგა ხნით ადრე იჭერს. მიდი და ჩამოეფარე! ვინაიდან მოსეირეები ხშირად ლუდით გამომთვრალი არიან, მოსაქმების ფრიად ორიგინალური ხერხი მოუფიქრებიათ; ამასთან, არც ბრძოლით მოპოვებულ ტერიტორიას თმობენ: ერთმანეთს პოლიეთილენის პარკს გადასცემენ და როცა აივსება, მოედნისაკენ მოისვრიან ხოლმე. ყველაზე გაწაფულები პარკს ფოტოგრაფებს უმიზნებენ. არა, მორტყმას როდი ეშურებიან; მთავარია, აქაფებული სითხით სავსე გალუმპული პარკი წამუხლული ფოტო-მონადირის ფერხთით მიწას დაენარცხოს, გასკდეს და ზემოთხსენებული ქაფური მასა გაალმასებულ სამიზნეს მიეპკუროს.

ამგვარი რამ უემბლიზე არასოდეს გადამხდენია, რაკილა ფეხბურთის ქომაგები ვერ დაიჩივლებენ, სანახაობას თვალი ვერ ვკიდეთო. რაგბთან შედარებით ფეხბურთი სანახავად არცა ღირს.

ინგლისურიდან გადმოაქართულა
კოტე იაშვილმა

**წინა უქმეებზე**

**მსოფლიო თასის შესარჩევი თამაში**
**ევროპის ზონა**

შაბათი, 17.IX. ბუქარესტი. რუმინეთი 9 (პს: ნიკიციანი) — უელსი 16 (ლ: ი. ევანსი; გ. პს: ნ. ჯენქინსი)

1.X. იტალია — რუმინეთი; 12.X. უელსი — იტალია; სამივე გუნდი გასულია დასკვნით სტადიაზე, მაგრამ გასარკვევია, თუ ვინ რომელ ქვეჯგუფში მოხვდება

**ქარრის თასი**

17.IX. ნატალი 44 (5ლ; ჯუბერი - 24ქ) — ჩრდ. ტრანსვაალი 28; ტრანსვაალი 24 — დას. კონცხი 17, 67-ე წუთზე სტუმრები 17:3 იგებდნენ, 78-ე წუთზე ანგარიში 17:17 იყო, ბოლო წუთზე კი მსაჯმა ტრანსვაალს საჭოჭმანო საჯარიმო ლელო ჩაუთვალა

ბოლო, X ტური: 24.IX. აღმ. კონცხი — ტრანსვაალი, ჩრდ. ტრანსვაალი — ნარინჯი, დას. კონცხი — ნატალი

მდგომარეობა: ნარინჯი 6 მოგება; ტრანსვაალი 5; დანარჩენები 4-4. ნარინჯმა ფინალში (1.X) თამაში გაინაღდა. პირველი სამეული საგაისო ზე-ათის სერიალში იასპარეზებს

**რანფერლის ფარი**

კვირა, 18.IX. ქრაისთჩერჩი. ქენთებრი 42 (მერთონი - 32ქ) — სამხრ. ოკლენდის საგრაფოები 16, ქენთებრიმ დაიცვა ორი კვირის წინ მოპოვებული ფარი

**სიდნეის საკლუბო პირველობა**

17.IX. რენდვიქი 36 (ქემფიზი - 2ლ) — ვორინგა 16, რენდვიქმა ბოლო რვა წელიწადში მეშვიდედ მოიგო პირველობა. ქემფიზიმ გადაიფიქრა ნაკრებში თამაშისათვის მსოფლიო თასის შემდეგ თავის დანებება; როგორც უთქვამს, ფრანგი სელასავით ასი ქულის (ნაკრებში თამაშის სიმბოლური დასტურის) მოგროვება მსურსო. ჯერჯერობით მის ანგარიშზე 86 ქულაა

**ინგლისის პირველობა**

17.IX. ჰარლიქვინზი 26 — ვოსფსი 57 (ორივე ცნობილი ლონდონური კლუბია)

**აქეთური, იქითური**

5 ნოემბერს კრივის მსოფლიო ასოციაციისა და საერთაშორისო ფედერაციის საზიარო ჩემპიონმა, მძიმეწონოსანმა მაიკლ მურერმა ლას-ვეგასში ტიტული უნდა დაიცვას 45 წლის ჯორჯ ფორმენთან შეხვედრაში. ასოციაციაში ერთი მორიგი გაჩნდა, აქაო და ვეტერანი ფორმენი ჩვენი ვერსიით [illegible] რეიტინგებში [illegible] მისაღებად ვერ მივიჩნევთო, მაგრამ მერე საქმე სასამართლოში გაიტანა და 11-საათიანი განხილვის შემდეგ ასოციაცია გამტყუნდა. ამასობაში გამოცხადდა, რომ მსოფლიო ორგანიზაციის ჩემპიონი მარბი ჰაიდი ტიტულს 22 ოქტომბერს ჰონკონგში დაიცავს ექს-ჩემპიონის — თომი მორისონის ხელყოფისაგან. მორისონი თავის დროზე გალახა ბენიამ, ბენის კი მერე ჰაიდმა სცემა. მსოფლიოს მესამე და ყველაზე ღირსეული ჩემპიონი (საბჭოს ვერსიით) ბრიტანელი ლენოქს ლუისი 24 სექტემბერს უემბლიზე ოლივერ მაქქოლს შეერკინება.

*

მოტოციკლისტთა მსოფლიო პირველობის ბოლომდე სამი ეტაპი დარჩა, მაგრამ ყველაზე პრესტიჟულ, 500 კუბური სანტიმეტრი ძრავის მქონე კლასში ჩემპიონი უკვე ცნობილია. იგია ავსტრალიელი მაიქ დუენი, რომელიც „ჰონდათი" ასპარეზობს. დუენმა მოიგო ჩეხეთის დიდი პრიზი, რაც ამ სეზონში მისი მერვე გამარჯვებაა. აღსანიშნავია, რომ ორი წლის წინ ავსტრალიელი მძიმედ დაშავდა.

*

კანადის უკიდურესი დასავლეთი შტატის — ბრიტანული კოლუმბიის დედაქალაქ ვიქტორიაში მიმდინარეობს ბრიტანეთის თანამეგობრობის XV თამაშები, რომელშიც 64 ქვეყნის 3 200 ათლეტი სპორტის ათ სახეობაში ასპარეზობს. თამაშები გახსნა დედოფალმა ელისაბედმა, აღლუმის დროს კი 32-ათასიანმა აუდიტორიამ მხურვალე აპლოდისმენტები შეაგება თანამეგობრობის წიაღში 33 წლის შემდეგ დაბრუნებული სამხრეთი აფრიკის დელეგაციას. „მეგობრულ თამაშებად" ცნობილ შეჯიბრზე უკვე არაერთი ღირსშესანიშნაობა მოხდა: ასე მაგალითად, ლინფორდ ქრისტიმ 100 მეტრის გარბენას 9,91 წამი მოანდომა; ვინმე ნიგერიელს ჩემოდანში სტეროიდები უპოვეს და მყის შინ მიაბრძანეს, სოლომონის კუნძულების სამი მოკრივე კი გზაში მეტისმეტი ჭამისაგან ისე გასუქდა, რომ თავ-თავისი წონის ფარგლებში ველარ ჩაეტია: ორმა გამოსავალი ბოლოდ იპოვა — თითო წონით აიწაცვლა, მესამე კი შეჯიბრს გამოაკლდა, ვინაიდან მის ახალ წონაში სოლომონელებს მონაწილე ისედაც გამოჰყავდათ.

*

ბრიტანეთის ჟოკეი-კლუბმა გადაუწყვეტია, რომ ახალი სეზონიდან, რომელიც ოქტომბერში იწყება, დოპინგ-სინჯი ცხენების გარდა მხედრებსაც აუღოს.

*

დიდი ბრიტანეთის ლიგის რაგბის ნაკრების მწვრთნელმა მალკოლმ რილიმ ქვეყანა დაალალატა — ორწლიან კონტრაქტს მოაწერა ხელი ავსტრალიურ კლუბ (!) „ნიუქასლ ნაითსთან", აქაო და ერთობ ამბიციური კლუბია, გეგმები დიდი აქვს და ფრიად გასამრჯელოსაც შემპირდნენო.

*

მძლეოსანთა „ოქროს ოთხეულის" პროგრამით ციურიხის საერთაშორისო შეჯიბრებაში წარუმატებლად ასპარეზობის შემდეგ ნიგერიელი სპრინტერი ოლუპადე ადენიაკინი სასტუმროში წაეკიდა ამერიკელ კონკურენტ დენის მიჩელს და ისეთი მუშტი-კრივი გაუმართა, რომ თვალდ სახეზე ორი ნაკერი დადეს. ИААФ-ი ჩხუბის ვითარებათა გამოძიებას აპირებს. ამავე შეჯიბრის დროს მსოფლიოს რეკორდსმენმა ლეროი ბარელმა ტერფი დაიშავა და სარბიელს სეზონის ბოლომდე გამოაკლდა. ადენიაკინმა ვერ იასპარეზა ორი დღის თავზე ბრიუსელში გამართულ ივო ვანდამის მემორიალში, რომელიც ასევე „ოთხეულის" პროგრამაში შედის. 100 მეტრზე რბენა ორივეგან ქრისტიმ მოიგო — 10,05 და 10,03.

**აქეთური, იქითური**

**სარბიელი**
სპორტული გაზეთი
გამოდის სამშაბათობითა და პარასკეობით
ინდექსი 66 441
რაიონებისათვის გაზეთის ფასი სახელშეკრულებოა

**რედაქციის მისამართი:**
თბილისი, ალ. ყაზბეგის გამზ. 42, II კორპუსი, IV სართული. ტელეფონი: 39 48 29 •
წერილებისა და სხვა საფოსტო გზავნილებისთვის:
თბილისი - 79, საფოსტო ყუთი 208
იბეჭდება გამომცემლობა „სამშობლოს" საგაზეთო კორპუსში; ხოშარაულის 29

**დამფუძნებელი:**
შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება — საგამომცემლო ფირმა
„მარდი"

მთავარი რედაქტორი ზურაბ ფოცხვერია
რედაქტორი თამაზ მიგრიაული
რედკოლეგია: გია ახალაძე, ილია ბაბუნაშვილი, ზაალ გიგინეიშვილი (მთავარი რედაქტორის მოადგილე), ზურაბ მეძველია, მამუკა ჩიხლაძე (პასუხისმგებელი მდივანი)